დირექტორი ნათია კაპანაძე

# აჭარის ტელევიზია და რადიო

## საზოგადოებრივი მაუწყებელი

## 2017 წლის IVკვარტლის ანგარიში

ბათუმი

## სარჩევი

1. შესავალი
2. ჩვენი წინასწარი დაგეგმვა
3. კვარტლის მიღწევა
4. კვარტლის გამოწვევა
5. „პროგრამა=პრიორიტეტს“ - შეფასების სისტემა და ჩვენი პლატფორმები:

   ტელევიზია - შედეგები და საჭიროებები

   რადიო - შედეგები და საჭიროებები

   ინტერნეტი - შედეგები და საჭიროებები
6. ხარისხის კონტროლი - მონიტორინგის ანგარიშები
7. იურდიული მხარდაჭერა
8. კვარტლის ტენდერები
9. ადამიანური რესურსების მართვა: სწავლება და ახალი უნარ-ჩვევების შეძენა
10. „შემდეგი თაობა“- სტაჟირების პროგრამის მიმოხილვა
11. საზოგადოებრივი არხი და პარტნიორები
12. #მოუსმინე აუდიტორიას - საზოგადოებრივი უკუკავშირი
13. ჩვენი სხვა აქტივობები
14. სამომავლო რისკები და გამოწვევები
15. გეგმები შემდეგი ანგარიშისათვის

## 1. შესავალი

გვაქვს პატივი წარმოგიდგინოთ სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს (შემდგომში „აჭარის მაუწყებელი“ „მაუწყებელი“) 2017 წლის ოქტომბერი, ნოემბერი და დეკემბრის აქტივობების შედეგები - მეოთხე კვარტალური ანგარიში.

მოგეხსენებათ, მაუწყებელი პოლიტიკური და კომერციული გავლენისაგან თავისუფალი, საზოგადოებრივი ინტერესების შესაბამისი, მრავალფეროვანი პროგრამების საზოგადოებისათვის მიწოდების მიზნითაა დაფუძნებული.

ორგანიზაცია საჯარო დაფინანსებით მოქმედი, ხელისუფლებისაგან დამოუკიდებელი და საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებული საჯარო სამართლის იურიდიული პირია, რომელიც არ ექვემდებარება არც ერთ სახელმწიფო უწყებას.

მნიშვნელოვანია, რომ მაუწყებლის საქმიანობის თავისუფლება, ინტერესის სფერო და ანგარიშვალდებულება უზრუნველყოფილია საქართველოს კონსტიტუციით, საერთაშორისო აქტებით, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით, „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონით და მაუწყებლის მრჩეველთა საბჭოს მიერ დადგენილი პროგრამული პრიორიტეტებით.

#ვმუშაობთსაზოგადოებისთვის - ამ სლოგანის ქვეშ თანდათან ერთიანდება მაუწყებლის ყველა აქტივობა, რადგან მთავარი კანონისმიერი ვალდებულებებია[1]:

- ✓ უზრუნველყოს პროგრამების სარედაქციო დამოუკიდებლობა, სამართლიანობა და მიუკერძოებლობა; სახელისუფლებო, პოლიტიკური, რელიგიური და კომერციული გავლენისაგან თავისუფლება
- ✓ უზრუნველყოს საზოგადოებრივი ინტერესის შესაბამისი თანასწორობა ახალი ამბების, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, საგანმანათლებლო-შემეცნებით, კულტურულ და სპორტულ პროგრამებს შორის
- ✓ უზრუნველყოს აუდიტორიის დროული და ყოველმხრივი ინფორმირება საქართველოში, მის რეგიონებსა და მსოფლიოში მიმდინარე მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ
- ✓ საუკეთესო დროს გადასცეს ახალი ამბებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამები, ხოლო საარჩევნო კამპანიის მსვლელობისას – აგრეთვე წინასაარჩევნო დებატები
- ✓ პროგრამებში არ გამოხატოს თავისი აზრი
- ✓ ასახოს საზოგადოებაში არსებულ მოსაზრებათა პლურალიზმი
- ✓ ეთერის არანაკლებ 25%-ისა დაუთმოს დამოუკიდებელი კერძო სამართლის იურიდიული პირების მიერ მომზადებულ პროგრამებს, რომელთა შესყიდვა განხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონითა და ამ კანონით დადგენილი წესით
- ✓ პროგრამებში ასახოს საზოგადოებაში არსებული ეთნიკური, კულტურული, ენობრივი, რელიგიური, ასაკობრივი და გენდერული მრავალფეროვნება
- ✓ ბავშვთა და მოზარდთა ინტერესების შესაბამისი პროპორციით განათავსოს საბავშვო პროგრამები

[1] **„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონი. მუხლი 16**

- ✓ გაითვალისწინოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინტერესები, საარჩევნო კამპანიის პერიოდში და რეფერენდუმის/პლებისციტის გამართვის დროს ეთერში გაშვებულ არჩევნებთან/რეფერენდუმთან/პლებისციტთან დაკავშირებულ თავის გადაცემებში უზრუნველყოს სურდოთარგმანი
- ✓ ხელი შეუწყოს ქვეყნის თვითმყოფადობის, სულიერი ფასეულობებისა და კულტურული მრავალფეროვნების განვითარებას;
- ✓ სათანადო პროპორციით განათავსოს უმცირესობების ენაზე, უმცირესობების შესახებ და უმცირესობების მიერ მომზადებული პროგრამები
- ✓ უზრუნველყოს საქართველოს საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების, მათ შორის, ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში (შემდგომ – ნატო) და ევროკავშირში ინტეგრაციის, პოპულარიზაცია
- ✓ უზრუნველყოს აუდიტორიის დროული და ყოველმხრივი ინფორმირება საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებული მოვლენების შესახებ

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მაუწყებლის მიერ ჩატარებული სამუშაოები დაიგეგმა და სრულდებოდა სწორედ ზემოჩამოთვლილი უფლებამოსილებების ფარგლებში.

ჩვენ სრულად ვაანალიზებთ, რომ ქვეყანაში დემოკრატიული ღირებულებების და ინსტიტუტების დამკვიდრებისთვის კარგად ინფორმირებული საზოგადოებაა საჭირო, საზოგადოება კი ვერ იქნება სათანადოდ ინფორმირებული ხარისხიანი მაუწყებლობის გარეშე.

ამიტომაცაა, რომ მაუწყებელი მოქმედებს საქართველოს კონსტიტუციის, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის შესაბამისად ისე, რომ სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება მაქსიმალურად ხელშეუხებელი იყოს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში და საქართველოში.

## 2. ჩვენი წინასწარი დაგეგმვა

აჭარის მაუწყებელში გრძელდება მცდელობა შეიქმნას საქმიანობის წინასწარი დაგეგმვის სტანდარტი. მიუხედავად იმისა, რომ სტრუქტურული და სტარტეგიული გადაწყვეტილებების მიღების/განახლების საჭიროება და მოლოდინი არამყარს ხდის სამუშაო პროცესებს, წინასწარი თადარიგით მაინც შესაძლებელი ხდება მეტნაკლებად გამოიკვეთოს სამი თვის საჭიროებები და მენეჯმენტის მთავარი აქცენტები.

რადგან საანგარიშო პერიოდი ერთგვარად ემთხვევა წლიური შედეგების შეჯამების თარიღებს, შესაძლებელია ხაზი გაესვას კიდევ ერთხელ მაუწყებლის 2017 წლის მთავარ გეგმას, რაც რამოდენიმე მნიშვნელოვან კომპონენტს მოიცავდა:

- ✓ აჭარის მაუწყებლისათვის მედიასაქმიანობის მთავარი ხერხემალის - დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სარედაქციო პოლიტიკის აწყობა და მაუწყებლის სათანადო აღიარებამდე მიღწევა
- ✓ სამუშაო პირობების და მაუწყებლის შენობა-ნაგებობის საკითხის მოკვლევა, თითოეული დოკუმენტაციის დეტალური შესწავლა, 30 წლის მანძილზე არსებული პრობლემიდან სწრაფი და ეფექტური გამოსავლის ძიება
- ✓ მაუწყებლის იმიჯის ცვლილება მეგობრულ და თანამედროვე/პროაქტიულ გამშუქებლად. ამავე დროს ღია, გამჭვირვალე და პარტნიორობაზე ორიენტირებული საქმიანობის ფორმატის დამკვიდრება
- ✓ მაუწყებლის შიდა შემოქმედებითი პროცესების დეტალურად შესწავლა და მკვეთრი, ზუსტი, მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის და პროგრამული პრიორიტეტების მოთხოვნებთან მაქსიმალურად ახლოს მყოფი განახლებული დაგეგმარებისათვის მომზადება

სწორედ აღნიშნულ გეგმებზე იყო 2017 წელს გათვლილი თითოეული სამუშაო პროცესი, თითოეული სამუშაო დღე მაუწყებელში. ამ პროცესის შედეგი კი ასეთია:

- ✓ მაუწყებლის დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სარედაქციო პოლიტიკის აღიარება მოხდა შიდა და გარე მედიამონიტორინგებში. ყველაზე საკამათო ფორმატშიც კი - ადგილობრივი ძალაუფლების გადანაწილებისას ოპოზიციისა თუ პოზიციის წარმომადგენლები თანაბარი პატივისცემით ეპყრობოდნენ არხის სარედაქციო პოლიტიკას. არ ყოფილა კრიტიკული ან არასანდო დამოკიდებულება სატელევიზიო გაშუქების ტენდენციების მიმართ. ანალიტიკური გადაცემების („მთავარი აჭარაში“ “კვირის მთავარი“) შექმნა/წარმატება და ახალი საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემის „ღია სივრცის“ ფორმატის დამკვიდრება - ეს იყო თანმდევი შედეგი გათვლილი და წინასწარ გათვლილი 2017 წლის გეგმაში.
- ✓ 2017 წლის მანძილზე დეტალურად იქნა გამოკვლეული თანამშრომელთა შრომითი პირობები მაუწყებელში. შეიცვალა რაც კი შესაძლებელი იყო წლის მანძილზე: მოწესრიგდა კიბეები, დამაგრდა მოაჯირები, მაუწყებლის შენობები გათავისუფლდა დამატებითი ნივთებისაგან, მოხდა კედლების დატენიანება მესამე სართულზე, ზედმიწევნით დეტალურად გამოკვლეულ იქნა ყველა სამშენებლო იდეა და პროექტი მაუწყებლის შენობა ნაგებობის შესახებ, გაიმართა შეხვედრა თითქმის ყველა ექსპერტთან, რომლებიც სხვადასხვა დროს ყოფილან ჩართულები მაუწყებლის შენობის საკითხებში. ასევე შესწავლილ იქნა ყველა ტიპის კორესპონდენცია მაუწყებლის ქონებებთან დაკავშირებით, ეთხოვა პროფკავშირების სამსახურს შრომითი პირობების გადამოწმება. შესაბამისად, შედგა წერილობითი აქტი. რომლის თანახმადაც მაუწყებლის შენობის მდგომარეობა ვერ უძლებს ერთ კრიტიკულ კითხვასაც კი.

ჩატარდა სარემონტო სამუშაოები რადიო აჭარას შენობაში, შეძლებისდაგვარად მოგვარდა შიდა და გარე ინტერიერი, ამავე დროს შედგა სამხარაულის ბიუროს დასკვნები დროებით გადმოცემული ქონებებს შეფასებისათვის. მაუწყებელმა მოამზადა და მიმართა (დირექტორი, მრჩეველთა საბჭო) საქართველოს პრემიერმინისტრს, აჭარის მთავრობის თავმჯდომარესა და აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს, ასევე სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს შრომითი უსაფრთხოებისა და შენობა-ნაგებობის საკითხის გადასაწყვეტად. ამავე დროს შედგა ტელევიზიისათვის დათმობილი შენობის მესამე სართულის ხარჯთაღრიცხვა და აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს ეთხოვა მემედ აბაშიძის 41 დროებით გადმოცემული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის მოვლა-პატრონობაში დახმარება.

- ✓ საანგარიშო პერიოდში მაუწყებლის საქმიანი პარტნიორების/მხარდამჭერების მრავალფეროვნება და სიმრავლე, რაც ყველაზე ნათლად შესამჩნევი გახდა მაუწყებლის 30 წლის იუბილეს ორგანიზებასა და მხარდაჭერაში
- ✓ მაუწყებლის სრული პროფილური ანალიზი - წლის მანძილზე სრულადაა გამოკვლეული მაუწყებლის აუდიტორიის ქცევა და მოლოდინი. შესწავლილია მაყურებელთა ინტერესები, ასაკობრივი სეგმენტები და განახლებული დაგეგმარება, დასრულდა შიდა იდეების შეგროვების პერიოდიც. მაუწყებელი ემზადება იმისათვის, რომ მისი რეიტინგი არ იყოს „დამოკიდებული ჰოლივუდზე“ და შეიქმნას კონტენტი, რომელიც აქ და ახლა განავითარებს საზოგადოებას, აქ და ახლა გახდის უკეთესს ადამიანის ცხოვრებას და რაც მთავარია, საზოგადოებრივი არხი გახდება საზოგადოების მთავარი ბერკეტი იპოვნოს გამოსავალი.

2017 წელი დაეთმო სარედაქციო პოლიტიკის გამართვას. რაც მოიცავდა ახალი ამბების გუნდისა და სპორტული რედაქციის ფორმირების პროცესის მიმართ განსაკუთრებულ ყურადღებას. ამასთანავე სტანდარტის „ვმუშაობთ საზოგადოებისათვის“ რეალურ ნაბიჯებში გადატანას და დამკვიდრებას.

ჩატარებული ერთწლიანი სამუშაოების და საზოგადოებაში არსებული გამოწვევებიდან გამომდინარე, 2018 წელი მაუწყებლისათვის იქნება შემოქმედებითი პროცესების გამართვისა და რუსულ პროპაგანდასთან ბრძოლის წელი. რაც აისახება როგორც მედიაპროდუქტებზე, ისე საპარტნიორო თუ საგრანტო პროგრამებზე.

რაც შეეხება კვლავ 2017 წლის ბოლოს ჩატარებულ სამუშაოებს, უნდა ითქვას, რომ მეოთხე კვარტლისათვის წინასწარი გეგმები გაწერილი იყო შემდეგ აქტივობებზე:

1. **კვარტლის მთავარი ამოცანები:**
   - ✓ მაუწყებლის შენობის საკითხებზე კონსულტაციების გაგრძელება
   - ✓ სტრუქტურის და სტრატეგიის დოკუმენტების საჯარო განხილვები
   - ✓ შიდა და გარე მონიტორინგის ანგარიშებზე დაყრდნობით სამუშაო ფორმატების დახვეწა
   - ✓ მაუწყებლის 30 წლის იუბილესათვის მზადება
   - ✓ 2-3 წარმატებული საგრანტო პროექტი
   - ✓ შიდა და გარე აუდიტის რეკომენდაციების შესრულება
2. **სამუშაო პირობების შეცვლა:**
   - ✓ თბილისის ბიუროს მოწესრიგება
   - ✓ საოფისე ავეჯის განახლება
3. **თანამშრომელთა ჩართულობის და უნარ-ჩვევების გაძლიერების გეგმა:**
   - ✓ თანამშრომელთა შიდა და საზღვარგარეთ სასწავლო პროექტებში ჩართვა
   - ✓ თანამშრომლებთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე ზრუნვა

- ✓ გასვლითი შეხვედრების - ბრეინშტორმინგის მოწყობა

4. **სამაუწყებლო საქმიანობის დაგეგმარების შეცვლა**
   - ✓ საგამოძიებო ჟურნალისტიკის პროექტის ეთერში ჩაშვება
   - ✓ ყოველდღიური დილის გადაცემის აწყობა
   - ✓ ახალი იდეების დამტკიცება
   - ✓ განახლებული სეზონის დაწყებისათვის მზადება
   - ✓ საიუბილეო კვირეულის მომზადება და მართვა
5. **შეთავაზება მესამე პირებისათვის**
   - ✓ წამყვანების/გადაცემების გასვლითი შეხვედრები აჭარის მუნიციპალიტეტებში
   - ✓ საინფორმაციო ლაითბოქსების განთავსება ტელევიზიის და რადიოს შენობებზე
   - ✓ რადიოს კედლების მოხატვა
6. **ტექნიკური საკითხების გადაწყვეტა**
   - ✓ ტელე და რადიო სიგნალების გავრცელების მუდმივი მონიტორინგის დაწყება და შესაბამისი აპარატურის შეძენა
   - ✓ სტუდიური განათებების მონტაჟი
   - ✓ ახალი ამბებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემის სტუდიური დიზაინის კორექცია
   - ✓ ტექნიკური გადაიარაღების გეგმის კორექცია
7. **ფინანსური საკითხები**
   - ✓ 2017 წლის საბიუჯეტო წლის დახურვა
   - ✓ 2018 წლის ბიუჯეტირების პროცესის დასრულება

## 3. კვარტლის მიღწევა

1. არჩევნები 2017 - ეუთოს დადებითი შეფასება
2. აჭარის ტელევიზიის 30 წლის იუბილე ღონისძიების ორგანიზატორების ზვიად სირაბიძის, ლალი ბერძენიშვილის, ანა ნაგერვაძის და ბერდია კუტუბიძის დაგეგმარებით შედგა. მაუწყებელმა საკუთარი იუბილე მიუძღვნა ბერი ანდრიას ფონდს და სოლიდური სიმსივნით დაავადებული ბავშვების საცხოვრებელიპირობების გაუმჯობესებისათვის 40 000 ლარზე მეტი შეაგროვა
3. სასტუმრო ლეოგრანდის ტრაგედიასთან დაკავშირებული პროცესების სრულყოფილად და უშეცდომოდ გაშუქება
4. დაინტერესებული მოქალაქეების ინფორმირება მაუწყების ცხელი ხაზით და სოციალურ ქსელში საცნობებით https://www.facebook.com/AjaraTV/videos/1436884803054408/
5. აჭარის მაუწყებლისა და ირაკლი ტაბლიაშვილის ერთობლივი პროდუქტი - გადაცემა „კონტექსტი“
6. თანამშრომლობა საქართველოს სახალხო დამცველთან არსებულ ტოლერანტობის ცენტრთან
7. ტოლერანტობის პრიზი - ფილმისათვის „სახლი ბათუმში“
8. მემორანდუმის გაფორმება საგამოძიებო ჯგუფთან „სტუდია rec”
9. მემორანდუმის გაფორმება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტთან
10. ბადის ანალიზი და შემოქმედებითი პროცესების დაგეგმვის ინსტრუმენტების განახლებაზე ზრუნვა
11. პრიზი - გადაცემისათვის „ბუნების კანონი“
12. პრიზი აჭარის მაუწყებლის სპორტული რედაქციის თანამშრომლებს სპორტის განვითარებაში ხელშეწყობის გამო
13. პრიზი მაუწყებლის დირექტორს რაგბის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის

## 4. კვარტლის გამოწვევა

მეოთხე კვარტლის ძირითადი გამოწვევა კვლავაც სტრატეგიული გარდაქმნის მოლოდინი და ამ მხრივ, სამუშაო პროცესების ნაკლებობა იყო.

ამავე დროს მთავარი სირთულე ტექნიკური პრობლემებთან ერთადსახელმფასო/საკადრო პოლიტიკა, ბადის ეფექტურად დაგეგმვა / სწორი მართვა და სტაბილური მართვის მოდელის შექმნაა.

საანგარიშო პერიოდში მაუწყებელმა მაღალი კვალიფიკაციით და სტანდარტების დაცვით გააშუქა საარჩევნო პერიოდი. ზოგადი შეფასებით, მაუწყებელი პასუხობს არჩევნების გაშუქების სტანდარტს. მაუწყებელსა და მარეგულირებელ კომისიაში არ შემოსულა საჩივარი გაშუქების გადაცდომების პრეტენზიით, თუმცა კრიტიკული მაჩვენებელია რადიოს მიუკერძოებლობისა და სარედაქციო დამოუკიდებლობის ნაწილში. კერძოდ, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული მონიტორინგის ანგარიშში მითითებულია, რომ „რადიოარხის ეთერში (იგულისხმება რადიო აჭარა) განსაკუთრებით დადებითად აჭარის მთავრობა (70%) და ადგილობრივი თვითმმართველობები (51%) გაშუქდნენ. ეს ტენდენცია გასული წლის მონიტორინგის შედეგებმაც გამოავლინა, თუმცა წელს პრობლემა საზოგადოებრივი მაუწყებლის წინაშე უფრო მწვავედ იდგა.[2]

არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზი დღეისათვის ახალი ამბებისა და მონიტორინგის სამსახურის შესწავლის საგანია.

კვლავაც დღის წესრიგში დგას ახალი ამბების გუნდის სამოქმედო გეგმისა და სტრატეგის დოკუმენტის შემუშავება, საგანგებო და კრიტიკული სიტუაციების დროს ძირითადი ინსტრუქტაჟისათვის. ამასთან, აუცილებელია, საგანგებო სიტუაციების დროს, გადამღები ჯგუფების უსაფრთხოებისთვის სპეციალური აღჭურვილობის შეძენა. ასევე უნდა დაკონკრეტდეს, ვის ეკისრება პასუხისმგებლობა გადამღები ჯგუფების უსაფრთხოებაზე. აღნიშნულ საკითხებზე ჩატარდა ექვსდღიანი ტრეინიგი ქალაქ ბათუმშიIREX მედიაპროგრამის ფარგლებში, პროექტი მხარდაჭერილია ამერიკის საელჩოს მიერ.

2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შემდეგ, კიდევ უფრო განსაკუთრებული ყურადღების საგანი გახდა ტექნიკური მიმართულების გამართვა. დაგეგმარებს მიუხედავად მაუწყებელმა ვერ მიიღო მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს მხარდაჭერა HD ხარისხით გავრცელების, მოძრავი სატელევიზიო სადგურისა და მაუწყებლის შენობა-ნაგებობის კონსტრუქციის შესაქმნელად.

ერთწლიანი მუშაობის ფონზე კიდევ უფრო ნათელია, რომ მაუწყებლის ტექნიკის მიმართულება სამივე პლატფორმაზე საჭიროებს გადაიარაღებას და ფუნდამენტურ მიდგომას. ამ დროისათვის დაწერილია მაუწყებლის ტექნიკური განვითარების 5 წლიანი სტრატეგია. დოკუმენტი წარდგენილია მრჩეველთა საბჭოს წინაშე. სამწუხაროა, რომ მისი განხილვა და დამტკიცება ამ დრომდე კვლავაც ვერ მოხდა, რადგან ტექნიკური განვითარების ხედვამ უნდა გაამყაროს საბიუჯეტო დაგეგმარების პროცესი და განჭვრეტადი გახადოს მომდევნო წლების დინამიკა. რაც დღეისათვის მაუწყებელს არ გააჩნია. ტექნიკის შეძენა ხდება მხოლოდ გამოვლენილი ხარვეზების ლოკალურად მოსაგვარებლად. რაც არ არის საკმარისი

[2] მონიტორინგის ანგარიში
http://mediamonitor.ge/uploads_script/accounts/MM_FINAL_REPORT_2017_GEO.pdf

წინაპირობა განვითარებისათვის. ამგვარი მიდგომით, მაუწყებლის სამომავლო პერსპექტივები ყოველთვის ნაკლებხარისხიანი და ნაკლებპერსპექტიული იქნება.

**საკადრო პოლიტიკა** სახელფასო ბადის სამართლიანი გადანაწილება კვლავაც ერთ-ერთი საკვანძო თემაადა მიბმულია მაუწყებლის ფუნდამენტური სახელმძღვანელო დოკუმენტაციის გამართვასთან.

დღეისათვის მაუწყებელში კვლავაც უცვლელი პრობლემებია, რაც ზემოქმედებას ახდენს ადამიანების შრომით განწყობებზე და შედეგზე:

1. სახელფასო გადანაწილება არასამართლიანია
2. დაუსაბუთებელია საშტატო ნუსხის შემადგენლობა და ზოგიერთი პოზიციისათვის მინიჭებული პრივილეგიები
3. არ არსებობს საპრემიო ფონდი, ამავე დროს მაუწყებლის ბიუჯეტთან მიმართებაში შეუსაბამოა პრემიის გაცემის წესი. კერძოდ, პრემიის მიზნებისა და პრემიის ვადების ურთიერთშეთავსება, ისევე როგორც პრემიის ქვედა ზღვარისათვის დადგენილი ციფრი
4. არ არის გაწერილი და ზუსტად გაანგარიშებული თითოეული ადამიანის მონაწილეობის მნიშვნელობა და შექმნილი სარგებლის საფასური
5. ყოველდღიურ ეთერზე პასუხისმგებელ პირთა ანაზღაურებები მნიშვნელოვნად განსხვავებულია სხვა ადმინისტრაციული ფუნქციებით დატვირთული ადამიანების ხელფასისაგან.

კიდევ ერთხელ ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ ამ პრობლემური საკითხების მოგვარება მიბმულია ფუნდამენტური ცვლილებების ბოლომდე მიყვანასთან: ახალი სტრუქტურისა და სტრატეგიის დოკუმენტის მიღებასთან.

მაუწყებელში საჭიროა გადაიხედოს თანამედროვე  მედიაბაზრის მოთხოვნები და დაუყოვნებლივ ჩამოყალიბდეს საჭირო ფორმით სტრატეგიული მიმართულებების შემადგენლობები განვითარების,ახალი ამბების, შემოქმედების, ტექნიკის, ფინანსების და ადმინისტრაციის მართვისათვის.

წინაალმდეგ შემთხვევაში, დღევანდელი მედიაგამოწვევების ფონზე (კონკურენტების გადასვლა HD ხარისხზე, დინამიური/LIVE დაგეგმარება, გასართობი ფორმატების სიმრავლე) სწორად ვერ მოხდება საკვანძო საკითხების დაფარვა და გრძელვადიან პერსპექტივაში კიდევ უფრო დასუსტდება საზოგადოებრივი მაუწყებლის სტანდარტების ძიებაში მყოფი ორგანიზაცია, რომლის რეიტინგის ძირითად ნაწილს წარმოადგენდა მისი ფუნქციების მიზნებთან ყველაზე შორს მყოფი მასალე - ე.წ. მექანიკური პროდუქცია. ხშირად არალიცენზირებული მხატვრული კინოფილმები წარმოადგენდა.

ამიტომ, დროულად და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია გადანაწილდეს სამუშაო გუნდები და პროცესები.

საანგარიშო პერიოდში წარმატებულია ანალიტიკური გუნდი, ანალიტიკური გუნდის მაგალითი შედეგისა და გუნდურობის თვალსაზრისით ნათელი მაგალითია იმისა, თუ რა შეიძლება მოჰყვეს  გუნდების დროულად შეკავშირებას, სამაუწყებლო სტრატეგიის შექმნას და ფუნდამენტური საკითხების გადაწყვეტას.

მიმაჩნია, რომ წარმატებული შედეგი, რომელზედაც დირექტორს მოეთხოვება პასუხი კანონისა და საზოგადოების წინაშე,  მიიღწევა მხოლოდ და მხოლოდ მართვის სისტემის სწორად გამართვის შემდეგ.

ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ აჭარის მაუწყებლის გუნდს აქვს პროგრესი (რაც მინიმუმ ანალიტიკური მასალების მომზადებით შეიძლება გახდეს შესამჩნევი) თუმცა კიდევ უფრო დიდია ორგანიზაციის პერსპექტივა სწორი სამოქმედო პოლიტიკისა და ინფრასტრუქტურის პირობებში.

**მაუწყებლობა შენობის გარეშე** ინფრასტრუქტურული მოუწყობლობა მაუწყებლის საქმიანობის თანმდევი ურთულესი და მწვავეპრობლემაა. სამწუხაროა, რომ დღემდე მაუწყებელი მთავრობის კუთვნილ ქონებებს იკავებს, რითაც ჯერ კიდევ არ არის გათავისუფლებული სახელმწიფო ტელევიზიის მოცემულობისაგან.

დღეისათვის დროებითი შენობები სრულიად არ შეესაბამება მაუწყებლის საჭიროებებს. მაუწყებლის ძირითადი ოფისი მეცხრამეტე საუკუნის შენობაა, რომელიც ამავე დროს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია, რადიო კი განთავსებულია მრავალბინიანი კორპუსის პირველ სართულზე, ხშირია შემთხვევა როცა მეზობლებისაგან ჩამოდის წყალი და ზიანდება როგორც ინფრასტრუქტურა, ისე შეუძლებელი ხდება მუშაობის გაგრძელება. ყოველდღიური საფრთხის წინაშეა რადიოს აპარატურა.

ამავე დროს გაუმართავია სრული ინფრასტრუქტურა, ჯანმრთელობისათვის სახიფათოა შრომითი პირობები (უჰაერო, უფანჯრებო ოთახები, ხის შიდა კიბე, მოძველებული სახურავი, საიდანაც წყალი ჩამოდის და ა.შ.)

აღსანიშნავია, რომ სამსახურების მნიშვნელოვან ნაწილს საერთოდ არ გააჩნია ოთახიც კი. შემოქმედებით ჯგუფებთან ერთად რთულ სამუშაო პირობებშია ტექნიკური ჯგუფები. მაგალითად, მაუწყებლის მძღოლებს, რომლებსაც ხშირ შემთხვევაში მორიგეობის დროს 10-12 საათს უწევთ მუშაობა, არ აქვთ საკუთარი მოსასვენებელი ოთახი. შემდეგ გადაღებებზე გასვლამდე მოცდა უწევთ ავტომობილში ან დაცვის ოთახში, რომელიც თავის მხრივ, მხოლოდ რამდენიმე სკამითაა აღჭურვილი.ეს და სხვა გარემოება კი მნიშვნელოვნად აუარესებს სამუშაო პირობებს სამსახურში. მთლიანად მორალურადაა მოძველებული შიდა ინფრასტრუქტურა, რას ბუნებრივად აუარესებს შედეგს და ანელებს სამუშაო პროცესს. ნაკლებად პერსპექტიულს ხდის სიახლის დანერგვის შესაძლებლობას.

საგულისხმოა, რომ საანგარიშო პერიოდში კვლავაც დღის წესრიგში იდგა კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოსთან კომუნიკაცია. საბოლოოდ, შეთანხმდა აჭარის ტელევიზიის შენობის არქიტექტურული გეგმა და გაიწერა ცვლილებების ხარჯთაღრიცხვა, რაც მთლიანობაში დაახლოებით 93 000 ლარზე მეტ ხარჯს მოითხოვს. საჭიროება მოიცავს აჭარის ტელევიზიის მესამე სართულის რეკონსტრუქციას, სამუშაო ოთახების გაფართოებასა და სარკმელებით უზრუნველყოფას, შიდა კიბის ცვლილებასა და გარე ფასადის დამუშავებას, ისევე როგორც აივნების ცვლილებას.

აღნიშნული თხოვნას სააგენტო 2018 წლის გაზაფხულისათვის განიხილავს და მაღალი მოლოდინით, საბოლოო დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, შესაძლებელი გახდება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის დაცვა და აჭარის მაუწყებლის თანამშრომელთა შრომითი პირობების გაუმჯობესება. თუმცა ეს კორექცია ვერ შეცვლის მაუწყებლის მთავარ საჭიროებას ჰქონდეს საკუთარი  და მედიაორგანიზაციის საჭიროებაზე გათვლილი შენობა.

მაუწყებლის ინფრასტრუქტურის გამართვა  და შრომითი უსაფრთხოების შექმნა ბოლო კვარტლის და მთლიანად 2017 წლის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა იყო.

**ინცინდენტი და წლის მთავარი შედეგი -** საანგარიშო პერიოდში კვლავაც დღის წესრიგში იდგა საზოგადოებრივი მაუწყებლის  აჭარის ტელევიზიისა და რადიოს ჟურნალისტ ჯენი კვანტალიანსა და ოპერატორ ანდრო ქაჩიბაიას ინცინდენტის გამოძიების თემა. მათსარფის საბაჟო გამშვებ პუნქტზე ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს. მაუწყებლის თანამშრომლებიკონფლიქტური ვითარების გადასაღებად სარფში იმყოფებოდნენ. დეტალების გასარკვევად კი თურქულ მხარეს ცდილობდნენ გადასვლას. საქმეში დაუყოვნებლივ ჩაერთო ქართული და თურქული მხარე. დაიწყო გამოძიება. http://ajaratv.ge/news/ge/20602/sarfshi-momkhdar-incidentze.html.html

ბათუმში თურქეთის გენერალური კონსულის განცხადებით,  დღეს სარფის საბაჟო გამშვებ პუნქტზე მომხდარი ფაქტის შესწავლა დაუყოვნებლივ დაიწყო და სამართალდამცველებმა ვიდეოჩანაწერები მყისიერად შეისწავლეს.

„თუ რომელიმე თანამშრომლის ბრალეულობა გამოიკვეთა, იგი კანონის სრული სიმკაცრით დაისჯება. პროცესი გამჭვირვალედ წარიმართება. ქართულ და თურქულ მხარეს ძალიან კონსტრუქციული ურთიერთობა აქვთ.“ - აცხადებდა იასინ თემისქანი.http://ajaratv.ge/news/ge/20583/--%EF%BF%BDtu-romelime-tanamshromlis.html.html

საანგარიშო პერიოდის განმაბლობაში კი, აჭარის მთავრობის თავმჯდომარის განცხადებით, ინცინდენტის გამოძიება დასრულდა. ზოგიერთი თანამშრომლის მიმართ დადგა ისეთი პასუხისმგებლობის ზომები, როგორიცაა თანამდებობიდან გათავისუფლება და სხვა თანამდებობაზე გადაყვანა[3].

აღნიშნული რთული პროცესის პარალელურად შესამჩნევი გახდა თურქი და ქართველი მოქალაქეების გადაადგილებისას საბაჟოს მომსახურების ხარისხის ცვლილების დადებითი ტენდენციები.

[3] http://ajaratv.ge/news/ge/22749/atcharis-televiziis-gadamgebi.html.html

## 5. „პროგრამა=პრიორიტეტს“ - შეფასების სისტემა და ჩვენი პლატფორმები:

გრძელდებამაუწყებელს გადაცემების განახლებისა და ახლებური დაგეგმვის პროცესი, რათა დამკვიდრდეს მიდგომა/შეფასების სისტემა „პროგრამა=პრიორიტეტს“. ამიტომ პრიორიტეტებისა და კანონმდებლობის შესრულების მაჩვენებელზე მთავარი აქცენტი ისევ საეთერო ბადის შემდგომი განახლებისას გაკეთდება.

საეთერო ბადე სრულად განახლდა იგეგმება სატელევიზიო რეიტინგების მთვლელი ორივე კომპანიის დასკვნების და რეკომენდაციების საფუძველზე. მყარი ბადის სრული ამოქმედება 2018 წლის მარტისთვის მოხდება.

ამ ეტაპზე ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად რჩება გარეწარმოების კოეფიციენტის შეთანხმება და შესრულება.

მას შემდეგ რაც გადაწყვეტილებაა მიღებული დოკუმენტური ფილმების გარე წარმოებაზე გატანის შესახებ, მზადდება სატენდერო წინადადება აღნიშნული პროდუქციის შესაძენად.

**#ტელევიზია - შედეგები და საჭიროებები**

საანგარიშო პერიოდში ახალი ამბების და შემოქმედების გუნდები ქმნიდნენ კონტენტს, რომელიც შეესაბამებოდა საზოგადოებრივი მაუწყებლის მოთხოვნებსა და საჭიროებებს. [4]

საანგარიშო პერიოდის მთავარი ამოცანა იყო ადგილობრივი თვითმმართველობის აჩევნების გაშუქება, რასაც მოჰყვა საარჩევნო პროცესის დამკვირვებლების მაღალი შეფასება

აჭარის ტელევიზიის და რადიოს საარჩევნო პერიოდში რამდენიმე ორგანიზაცია აკვირდებოდა: გაეროს განვითარების პროგრამის ფარგლებში 2017 წლის 19 ივნისიდან 2017 წლის 19 ნოემბრამდე ტელევიზიის ახალი ამბების 9-საათიან გამოშვებას „საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია“, რადიოს 6-საათიან გამოშვებას კი - „ინტერნიუსი-საქართველო“. ტელევიზიის შემთხვევაში ანგარიშში ნათქვამია, რომ აჭარისტელევიზიასამონიტორინგოარხებსშორისგამოირჩეოდათემებისმრავალფეროვნებით, სოციალურითემატიკისწინწამოწევით, ადგილობრივიპრობლემებისსიღრმისეულიგაშუქებით. არხისეთერშიგასულისიუჟეტებისუმრავლესობადაბალანსებულიიყო, მათშორისადგილობრივითვითმმართველობისდააჭარისმთავრობისშესახებკრიტიკულიმასალები. არშეიმჩნეოდარომელიმეპოლიტიკურიძალისმიმართმიკერძოებულიდამოკიდებულება.

http://mediamonitor.ge/uploads_script/accounts/MM_FINAL_REPORT_2017_GEO.pdf

საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიის საარჩევნო გაშუქება დადებით კონტექსტში აღინიშნა ეუთოს ანგარიშში:

ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანისუფლებებისოფისისარჩევნებზესადამკვირვებლომისიისმიერწარმოებულმამონიტორინგმაჩვენა,
რომგარკვეულიმედიასაშუალებებიწინასაარჩევნოკამპანიისგაშუქებისასძირითადაქცენტსმთავარსაარჩევნოსუბიექტებზეაკეთებდნენმაშინ,
როდესაცაჭარისტელევიზიამწინასარჩევნოკამპანიადაბალანსებულადგააშუქა,

[4] კვარტალის გადაცემები https://drive.google.com/file/d/0B6660aGGyafPRDJnRVNvWGU0czQ/view

საზოგადოებრივმამაუწყებელმასხვაპარტიებთანშედარებითმეტიდრომმართველპარტია „ქართულოცნებას“ დაუთმო.

სააარჩევნო პერიოდში მთლიანად მაუწყებელს აკვირდებოდა საქართველოს კომუნიკაციების მარეგულირებელი ეროვნული კომისია, რომლის დასკვნაში ნათქვამია

მაუწყებლისყოველკვირეულიინფორმაციისშესაბამისად, აჭარისტელევიზიისთვითრეგულირებისმექანიზმშიარცერთისაჩივარიკომპანიისმიერმიუკერძოებლობის,სამართლიანობისპრინციპისადაბალანსისდარღვევისშესახებარშესულა.

საზოგადოებრივიმაუწყებლისაჭარისტელევიზიისეთერშიკვალიფიციურსაარჩევნოსუბიექტებსძირითადადეძლეოდათყოველდღიურახალამბებშიმნიშვნელოვანსაკითხებზეკომენტარისგაკეთებისსაშუალება

https://www.gncc.ge/uploads/other/2/2822.pdf

აღსანიშნავია, რომ არჩევნების დღეს ყველა მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროცესები გაშუქდა ორგანიზებულად, ყველა ლოკაციაზე მივლინებული ჯგუფები, პირდაპირი ჩართვის უზრუნველყოფით, ოპერატიულად, უწყვეტ რეჟიმში აწვდიდნენ ინფორმაციას მაყურებლებს დღის განმავლობაში.

საანგარიშო პერიოდში ახალი ამბების გუნდის შემადგენლობამ თავი გაართვა ყოველკვირეულ სამ ახალ გადაცემას - აქედან ორი ანალიტიკური და შემაჯამებელი მაუყებლის გადაცემების რეიტინგში პირველ ადგილზეა. რაც შეეხება მთავარ თოქ-შოუს, საარჩევნო პერიოდში მთლიანად დაფარა ყველა პოლიტიკური სუბიექტის საარჩევნო აქტიურობა და მათ დრო დაუთმო თანაბრად, წილისყრით შერჩევით. გადაცემა აუდიტორიასა თუ სოციალურ ქსელებში რამდენჯერმე გახდა დისკუსიის, განსჯის და შეფასებების საგანი.

საარჩევნო ფორმატში მზადდებოდა რადიო გადაცემები. კვირაში ხუთჯერ პოლიტიკური თოქ-შოუ მაია ვარშანიძესთან ერთად (აქაც წილისყრით გამოვლინდა გადაცემებში პოლიტიკურ სუბიქტთა მონაწილეთა რიგითობა) , კვირაში ერთხელ რადიოს პირდაპირ ეთერში, თოქ-შოუ „ქალი და არჩევნები“ თამილა დოლიძესთან ერთად.

გარდა საარჩევნო პერიოდისა, ახალი ამბების სამსახურის გამოწვევა იყო რამდენიმე საგანგებო ეთერის მართვა: ლეოგრანდის ხანძარი, მიხეილ სააკაშვილის დაკავების ოპერაცია კიევში, ანტიტერორისტული სპეცოპერაცია თბილისში. აქედან ლეოგრანდში ხანძრის გაშუქების დროს საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია იყო ერთადერთი მაუწყებლებს შორის, რომელმაც შეძლო პირველივე წუთებიდანვე ტრაგედიის ადგილას და უწყვეტ რეჟიმში ეჩვენებინა არსებული სიტუაცია. მაუწყებელი იყო მთავარი წყარო სხვა მაუწყებლებისათვის.

გაიზარდა ჩვენი ვებგვერდის მომხმარებელთა რიცხვი, რომლის დიდი ნაწილი ახალი ამბების სამსახურის მიერ მომზადებული მასალებით ინტერესდება. ვებგვერდი ხშირად პირველწყაროა არამარტო მომხმარებლებისთვის, არამედ თავად ახალი ამბების გუნდისთვის. ახალი ამბების სამსახურისთვის მნიშვნელოვანია ინფორმაციის ოპერატიული გავრცელება, ასევე მაღალი პრიორიტეტით სარგებლობს მოპოვებული ინფორმაციის სანდოობა და ობიექტურობა.

საანგარიშო პერიოდში საგანგებო სიტუაციების დროს გადამღები ჯგუფების უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით ჩატარდა ექვსდღიანი ტრენინგი ჟურნალისტების, ოპერატორებისა და მენეჯერებისთვის.

დღეისათვის, მაუწყებლის მთავარი გამოწვევაა ახალი ამბების სამსახურის ჟურნალისტების და ოპერატორების გადამზადება სფეროების მიხედვით, რაც სირღმისეული მასალების მომზადების აუცილებელი წინაპირობაა. მედიამონიტორინგის ანგარიშში შენიშვნა სწორედ ამ საჭიროებაზე გაკეთდა.

აჭარის ტელევიზიის მთავარ გამოწვევად სიღრმისეული სიუჟეტების ხარისხიანად მომზადება შეიძლება მივიჩნიოთ. ზოგჯერ ეთერში გადიოდა სიუჟეტები, რომლებიც რეგიონში არსებულ მნიშვნელოვან პრობლემას ეძღვნებოდა, თუმცა ჟურნალისტს არ ჰქონდა სათანადოდ მოკვლეული ფაქტები, არ ჰყავდა რელევანტური რესპოდენტები შერჩეული, რის გამოც მნიშვნელოვანი ამბავი არასრულყოფილად იყო მიწოდებული მაყურებლისთვის.

დაინტერესებული მოქალაქეების ინფორმირება მაუწყების ცხელი ხაზით და სოციალურ ქსელში საცნობებით ინფორმაცია გავნთავსებულია მაუწყებლის ეთერსა და სოციალურ ქსელებში https://www.facebook.com/AjaraTV/videos/1436884803054408/

საანგარიშო პერიოდში მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო სპორტული რედაქციის საბოლოოდ გამართვას და ჩამოყალიბებას.სიახლეაისიც, რომ 21:00 საათიან მთავარ საინფორმაციოში სპორტული ბლოკი „მთავარი სპორტში“ გაძლიერებასთან ერთად, სამაუწყებლო ბადეში გაჩნდა ახალი გადაცემა „სპორტ კლუბი“ ამდენად, მაუწყებლის პრიორიტეტულ საკითხებში მნიშვნელოვნად გაიმართა აჭარის კლუბების თამაშების მხარდაჭერის საკითხი.

საანგარიშო პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა მოვლენების მულტიმედიურ გაშუქებას და მომხმარებელს, გარდა იმისა, რომ შეუძლია ინფორმაცია მიიღოს ტელევიზიისა და რადიოს მეშვეობით, უკვე შეეძლებათ დამატებითი ინფორმაცია მიიღონ ონლაინ არხის მეშვეობით.
ახალიამბებისსამსახურისთვისმნიშვნელოვანიაინფორმაციისოპერატიულიგავრცელება, ასევე უფრომაღალიპრიორიტეტითსარგებლობსმოპოვებულიინფორმაციისსანდოობადაობიექტურ ობა.

ახალი ამბების სამსახური ამ გადაწყვეტილებით კიდევ უფრო უზრუნველყოფს, საზოგადოების ობიექტურ ინფორმირებას არამარტო რეგიონის, არამედ საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ მიმდინარე ამბებით.

შემოქმედებითი მიმართულებით მეოთხე კვარტალში შემოქმედებითმა ჯგუფებმა შეუფერხებლივ აწარმოეს სატელევიზიო პროდუქცია. ეს გადაცემებია: "რჩეული ფრაგმენტები", "სცენა", "ერთი დღე სოფელში", "თეთრი კვადრატი", "მე ვარ ფერმერი", "უცხო სუნელი", "ეთნოფორი", "დილის ტალღა", "ჰეშთეგი", "იმპულსი", "სპორტი", "პროექცია", "ბუნების კანონი", "ART-ექსპერტი" "ბიბლიოთეკა" „ტელესპექტაკლები“, თვეში ერთი დოკუმენტური ფილმი დაამზადა დოკუმენტური ფილმების ავტორებმა - ნერონ აბულაძე, გია დიასამიძე, ოლღა ჟღენტი, ანზორ ქათამაძე, შოთა გუჯაბიძე და შემდეგ სეზონში აღარ აწარმოებენ დოკუმენტურ ფილმებს იგივე ავტორები - ნერონ აბულაძე, გია დიასამიძე, ოლღა ჟღენტი, ანზორ ქათამაძე, შოთა გუჯაბიძე, დაიხურა შემდეგი პროექტები - „რჩეული ფრაგმენტები“ „ტელესპექტაკლები“. შუა სეზონში დაემატა ორი ტელე-პროექტი „ანარეკლები“, და „კონტექსტი“, ხოლო სეზონის ბოლოს წარმოებაში ჩაეშვა ყოველდღიური საბავშვო გადაცემა „იყო და არა იყო რა“, ახალი სეზონი ეტაპობრივად შედის ეთერში ახალი გადაცემების სახით, ამ ეტაპზე მიმდინარეობს მუშაობა შემდეგი გადაცემებისთვის - ყოველდღიური ღამის გადაცემა - „აკვარიუმი“, ყოველდღიური დილის გადაცემა, სამხედრო პროექტი - „მილიტარისტი“, ტურისტული პროექტი - „ტურისტი“, შემეცნებით საგანმანათლებლო

საბავშო პროექტი „პიკსელი“, აგრეთვე რამოდენიმე გადაცემაში ახალი რუბრიკები ჩაეშვება. ასევე მიმდინარეობს მუშაობა ყოველდღიურ შუადღის თოქ-შოუს შესახებ.

გარე წარმოებაზე გადადის დოკუმენტური ფილმების წარმოება, ცხადდება ტენდერი.

ახალი წლის დადგომასთან დაკავშირებით შეიფუთა ტიხრებით და ანონსებით საახალწლო ეთერი, გადაღებულ იქნა სპეციალურად აჭარის ტელევიზიისთვის ბათუმში არსებული ბენდების სიმღერები.

ეტაპორივად ხორციელდება არსებული გადაცემების განახლება, სარეჟისორო ფაბულის ცვლილებით, რომელიც მნიშვნელოვნად ცვლის გადაცემის ფორმას, იდეურად და ვიზუალურად.

დაგეგმილი წინა კვარტლის მივლინებები წარმატებით შესრულდა და დაიგეგმა გადაცემების (ვისაც ესაჭიროება) მომავალი კვარტალის მივლინებები.

## #რადიო - შედეგები და საჭიროებები

მეოთხე კვარტლის მთავარი სამუშაო იყო რადიოს, როგორც მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი პლატფორმის ხელმისაწვდომობის გაზრდა შშმ პირებისათვის. ამ დროის განმავლობაში დასრულდა რადიოს შენობის ადაპტირება. ამიერიდან მაუწყებელი ხელმოსაწვდომია ეტლით მოსარგებლე ადამიანებისათვის.

ამავე დროს, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ძირითადი ყურადღება დაეთმო რადიოს ახალი სეზონის დაწყების საკითხს. სექტემბრის თვეში საეთერო ბადის სრული განახლება იგეგმებოდა, თუმცა ადაპტირებასთან დაკავშირებული სარემონტო სამუშაოების გაჭიანურების გამო,განახლება მხოლოდ ორი მიმართულებით დილის და პოლიტიკურ გადაცემებთან დაკავშირებით მოხდა.

საანგარიშო პერიოდში გაგრძელდა განახლებული ეთერისთვის მზადების პროცესი. კერძოდ: „პროგრამა=პრიორიტეტს“ პროექტის ფარგლებში შეთანხმდა ახალი გადაცემების საეთერო ბადეში განთავსების საკითხები.

გაგრძელდა სამუშაოები რადიოს ვიზუალიზაციის პროექტზე, რომელიც მიზნად ისახავს რადიოს საეთერო სტუდიაში ვიდეო კამერების დამონტაჟებას და რადიოს საიტზე ეთერის ტრანსლირებას, რაც იმთავითვე გულისხმობს არხზე კიდევ ერთი, ახალი სამაუწყებლო პლატფორმად ჩამოყალიბებას. გარდა იმის, რომ დასაწყისისათვის OSMO-ს მეშვეობით მივიღეთ ვიზუალიზაციის საცდელი მაუწყებლობა. დაიგეგმა 2018 წლის ბიუჯეტში შესაბამისი ცვლილება ვიზუალიზაციის სრული ეფექტისათვის.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში დასრულდა რადიოს შენობის ფასადის მოწესრიგება და შენობის შიდა კორექციული სამუშაოები.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში კვლავაც გრძელდებოდა რადიოს ღამის მუსიკალური ეთერის სატელევიზიო ფორმატში ინტეგრირება. ამდენად, FM104.5 ხელმისაწვდომია ტელემაყურებლებისათვის ღამის ეთერში აჭარის ზღვისპირა ხედებისა და აჭარის მაღალმთიანი რაიონების პეიზაჟებით. გადაწყვეტილების საფუძველია რადიო აჭარას და აჭარის ტურისტული შესაძლებლობების პოპულარიზაცია.

საანგარიშო პერიოდში საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მართვაში შესული ცვლილებების შემდეგ რადიო აჭარის სამაუწყებლო ბადეში ჩაეშვა 4 ახალი გადაცემა. „კონტაქტი“, „საღამო მშვიდობისა“, „ეკოსამყარო“, „სპორტული თოქ-შოუ“ და განახლებული „ღია ეთერი“. ასევე დაემატა გარეწარმოებიდან შემოსული გადაცემა |“მთა და ლიტერატურა ლევანბერძენიშვილთან ერთად“. გაიწერა და დაიგეგმა ფიქსირებული სამაუწყებლო ბადე, სადაც თითოეულ გადაცემას საზოგადოებრივი მაუწყებლის პრიორიტეტების მიხედვით გამოყოფილი აქვს თავისი, ფიქსირებული საეთერო დრო დღის განმავლობაში და მითითებული აქვს შესაბამისი ქრონომეტრაჟი.

დაემატა შემეცნებით გასართობი პროგრამების ორი წამყვანი. რომელთა მეშვეობითაც შეივსო რადიო აჭარის საღამოს ეთერი 20:00 საათიდან 24:00 საათამდე. თუმცა აღნიშნული რაოდენობა მაინც არ არის საკმარისი რადიოს ღამის ეთერის კვირის არასამუშაო დღეებში დასაფარად.

დაიწყო მუშაობა ერთობლივ, ტელე-რადიოპროექტზე. რომელიც ეთერში გავა როგორც რადიოში, ასევე ტელევიზიით და განთავსდება ინტერნეტ პლატფორმებზეც. გადაცემა „რადიოვიზია“ მზადდება რადიოს არსებული დილის გადაცემის ბაზაზე. ადგილზე არსებული წამყვანების, პროდიუსერების და ჟურნალისტების დახმარებით. ჯგუფს ასევე დაემატა ტელევიზიის დავების ადამიანური რესურსი, რომელთა მონაწილეობაც მნიშვნელოვანია დასახული მიზნების ჯეროვნად მიღწევაში.

ტექნიკური ნაწილი

მიმდინარე პროცესებმა გვაჩვენეს რომ რადიოს ტექნიკური განვითარება პროგრამული განვითარების წინმსწრები უნდა იყოს. დღემდე ხარვეზით იწერება სარეზერვო სტუდიის ხმა. მწყობრიდანაა გამოსული მეორე სამონტაჟო სტუდია. არ არის მოგვარებული კონდიცირების და ხმის იზოლირების საკითხი. არ არსებობს რადიოს სტუდიების გამართულად ფუნქციონირებისთვის საჭირო ტექნიკური საშუალებების დეტალების საჭირო რაოდენობის მარაგი. პერიოდული დიაგნოსტიკას და რევიზიას საჭიროებს რადიოში არსებული სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ტექნიკა.

მიმდინარე პერიოდში რადიოს ვიზუალიზაციისთვის შეძენილი ტექნიკური საშუალებებით განხორციელებულმა „ლაივებმა“ ცხადყო რომ ვებსივრცეში გადაცემების ღიაეთერში ყურების

მსურველები ძალიან ბევრია. თუმცა აღნიშნული ხელსაწყოები სრულად ვერ აკმაყოფილებენ რადიოს ვიზუალიზაციის მოთხოვნებს. შესაბამისად, მომდევნო საანგარიშო პერიოდში ამ პრობლემის მოგვარებაზე უნდა ვიზრუნოთ

რადიოში მუშაობაში გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტთა ჯგუფი. სტუდენტები მიმაგრებული არიან ჟანრობრივად სხვადასხვა გადაცემებზე და ასრულებენ კორესპონდენტის ფუნქციას.

რადიოში ასევე ჩართულები არიან ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტები. რომლებმაც უკვე მოამზადეს საპილოტე გადაცემა. სამომავლოდ იგეგმება სტუდენტების მიერ მომზადებული თემებით აკინძული გადაცემა.

## რადიოს ახალი ამბები

გაერთიანებული ნიუსრუმისპირობებში რადიო საინფორმაციო გამოშვებები დაიჯესტის სახით გახდა მეტწილად ლაკონური, სასიამოვნოდ მოსასმენი და იოლად აღსაქმელი.მთავარი გამოწვევაა, დაბალაბსებული და მიუკერძოებელი სარედაქციო პოლიტიკა.[5]

## რადიოს შენობა / ინვენტარი

რადიოს შენობის რემონტის დასრულების შემდეგ მოგვარდა ადაპტაციის პრობლემა. რადიოში სტუმრობა ხელმისაწვდომი გახდა შშმპირთათვის. ნაწილობრივ მოგვარდა ოთახებში სტაფის გადანაწილების პრობლემაც. თუმცა რადიოს მზარდი გადაცემების ფონზე მალე დღისწესრიგში დადგება რადიოში სპორტული რედაქციის სრულად განლაგების პრობლემა. ამ დროისთვის სპორტული რედაქციის თანამშრომლებსათვის გამოყოფილია სამუშაო ოთახი. ასევე, რადიოს შენობაშია განლაგებული ვების სამსახური. როგორც ვების, ასევე რადიოს წინაშე დგას სამუშაო სივრცის სათანადოდ მორგების პრობლემა.

[5] http://mediamonitor.ge/uploads_script/accounts/MM_FINAL_REPORT_2017_GEO.pdf

## #ინტერნეტი- შედეგები და საჭიროებები

ვფიქრობ, მედიის მომავალი ინტერნეტია, ამიტომაცაა, რომ მაუწყებლის განსაკუთრებული ზრუნვის საგანია გამართოს ვებპლატფორმა, მოხდეს მაუწყებლის სწორი და მყარი პოზიციონირება სოციალურ ქსელებში. გათანამედროვდესის ინსტრუმენტები, რასაც მაუწყებელი იყენებს ინფორმაციის შეგროვებისა და გავრცელებისას.

აჭარის მაუწყებლის ვებ გვერდი, ძირითადად, ფუნქციონირებდა ტელევიზიის მიერ შექმნილი კონტენტით და რადიოსმსგავსად, სრულად და იდენტურად ხდებოდა იმ მასალების ვებ გვერდზე განთავსება. შესაბამისად, მომხმარებლის განწყობების და ქცევის ცვლილებისათვის მნიშვნელოვანი ძალისხმევა იქნება საჭირო.

**ინტერნეტპლატფორმის მოკლე მიმოხილვა:**

**კვარტალური ანგარიში**

მიმდინარე კვარტალში საზოგადოებრივი მაუწყებლის ვებ-გვერდზე სტატისტიკა სტაბილურია, წინა პერიოდთან შედარებით მზარდი დინამიკა აღარ არის, მაგრამ შენარჩუნებულია სტაბილურად შემომსვლელთა რაოდენობა, რომელიც მინიმალური 3500 დან 10 000-მდე მერყეობს.

სტაბილურობის მიღწევა კარგი მაჩვენებელია, როცა საიტზე შემოსულ მკითხველს ინარჩუნებ. ეს იყო ვების გუნდის ერთ-ერთი ამოცანა, რომელიც მიღწეულია ამასთანავე, სასურველია, სტაბილური შემომსვლელების რაოდენობა კვარტალურად მინიმუმ 2000-ით გაიზარდოს.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, უნიკალურ ვიზიტორთა რაოდენობა და არსებული მონაცემებით (ტოპ.გე) საიტზე ერთხელ მაინც ნამყოფია მილიონ 55 ათას 669 ადამიანი.



გუგლის მონაცემებით კი ეს ციფრი მილიონ 966 ათას 768.

გუგლ ანალიტისკის მონაცემებით, ბოლო კვარტალში

427 029 ადამიანი შემოვიდა საიტზე. (პირველი ოქტომრიდან 31 დეკემბრის ჩათვით)




ეს ციფრი გვაფიქრებინებს, რომ ამ ადამიანების სტაბილურ ვიზიტორებად გადაქცევის შანსი არსებობს, თუ მაუწყებლის ვებ-გვერდზე გაჩნდება თემატური, მრავალფეროვანი კონტენტი, მულტიმედია პროდუქტი. განსხვავებული კუთხით და ფორმით მიწოდებული ამბები.

გუგლ ანალიტიკის, ფბ გვერდისა და ტოპ.გე ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ მომხმარებლების ნაწილს აინტერესებს ურბანული საკითხები და ძალიან წვრილად დამუშავებული პრობლემური თემები.




საკითხები, რომელიც ყოველდღიურად აწყდებიან. მაგ: შუქნიშნები, ნაგავსაყრელები, ურბანული განვითარების საკითხები, თვითმმართველობების ფუნქციები დავიწროვებული ერთ კონკრეტულ საკითხამდე.

აინტერესებთ ფოტორეპორტაჟები http://ajaratv.ge/news/ge/23717/soflebshi-gadaadgileba.html.html (10 800 ნახვა), სამოყვარულო კამერით გადაღებული და მოქალაქეების მიერ მოწოდებული მასალები და მოსაზრებები http://ajaratv.ge/news/ge/23916/moqalaqis-tserili-aunazgaurebs.html.html (6 200 ნახვა ).

დიდი რეზონანსი ქონდა მოქალაქის მიერ მოწოდებულ თემას, სადაც ის დაზიანებულ ავტომობილზე საუბრობდა. თემა იყო სუბიექტური, ემოციური და განპირობებული, რაზეც მოქალაქეებს უფრო მეტი სენსიტური დამოკიდებულებაა.

http://ajaratv.ge/news/ge/23916/moqalaqis-tserili-aunazgaurebs.html.html (6 200 ).



აჭარის ტელევიზია • Ajara TV

Published by Sofa Jgenti [?] · December 14, 2017 at 12:28pm ·

"აფეთქების შემდეგ დაზიანდა ჩემი მანქანა. ალბათ იტყვით რას მისტირის მანქანასო, როცა ამდენი ოჯახი ბინის გარეშე დარჩაო, მაგრამ მეც დაზარალებული ვარ. ახალი მანქანაა, ჯერ კიდევ ბანკში ვიხდით განვადების ფულს, ახალგაზრდა ოჯახი ვართ და ახლა ვაწყობთ ცხოვრებას, ჩვენი შრომითაა ნაყიდი და გული გვწყდება" -

მოქალაქის წერილი აჭარის საზოგადოებრივ მაუწყებელს.

/მოქალაქის წერილი/ აუწაზღაურებს თუ არა მერია აფეთქების შედეგად დაზიანებული მანქანების თანხა

ყოფილი ჯინჭარაძის ქუჩაზე აფეთქების შედეგად საცხოვრებელი ბინების გარდა, მოქალაქეებს ავტომანქანებიც დაუზიანდა.

AJARATV.GE

17,630 people reached

Boost Post

Like Comment Share

Eka Gogitidze, Andreas Schliemann and 170 others

Chronological

15 Shares

შესაბამისად, ვფიქრობ, უნდა მოხდეს ერთიანი ინტერესების მქონე ადამიანების დაჯგუფება, ინტერესების ანალიზი, სეგმენტურად თემების დაგეგმვა და განხორციელება, მათი ჩართულობის გასაზრდელად.




ჩვენი საიტის მომხმარებლები 16-დან 44 წლამდე მოქალაქეებია, შესაბამისად თემატური სეგმენტაციის გარდა, საჭიროა მოხდეს ასაკობრივი სეგმენტაცია და მათი ინტერესების შესაბამისად თემატური მასალების დაგეგმვა.

ამ კვარტალში ყველაზე მეტი ნახვა „ლეოგრანდის“ ტრაგედიის თემას მოჰყვა - 25 ათასი ვიზიტორი იყო საიტზე.

იმითვის, რომ ჩვენი საიტის მნახველთა რაოდენობა გაიზარდოს, საჭიროა მათ სტანდარტების შესაბამისი მასალები მივაწოდოთ.

ციფრები ადასტურებს იმას, რომ ვებ პორტალზე ადამიანებს მულტიმედია პროდუქტის ხილვა სურთ. ეს კი ვერ მოხდება თუ ვებს არ ეყოლება ძლიერი გუნდი, დამოუკიდებლად გადაადგილების, თემების დაგეგმვის და განხორციელების საშუალება არ ექნება. რაც დღეისათვის მნიშვნელოვანი ამოცანაა.

ამასთან, უმნიშვნელოვანესია ასევე ტექნიკური მხარდაჭერაც - საჭიროა გაიმართოს მზა პროდუქციის მიწოდების ფორმები, რომლის საშუალებას არ იძლევა არსებული საიტი.

## <u>კვარტლის წარმატებული საგრანტო პროექტები</u>

1. საანგარიშო პერიოდში ფონდ „ღია საზოგადოება - საქართველოს“ მიერ დაფინანსდა საგრანტო პროექტი, რომელიც გულისხმობს აჭარის მაუწყებლისა და „რადიო თავისუფლების“ ერთობლივი გადაცემის„ანარეკლების“ და სალომე ასათიანის გადაცემის „ვიპალარაკოთ“ მაუწყებლის ეთერში განთავსებას 2018 წლის იანვარში, თებერვალსა და მარტში. ამასთანავე კვარტლის განმავლობაში ხელმისაწვდომი იყო აჭარის ტელევიზიის მაყურებლებისათვის გადაცემა „ანარეკლები“
2. მაუწყებელსა და ა(ა)იპ “თავისუფალ ჟურნალისტთა სახლს“გაფორმებულია კონტრაქტი. პროექტი ითვალისწინებს მაუწყებლის გადაცემაში „დილის ტალღა-ს“ ეთერში საერთაშორისო ორგანიზაციის ეროვნული წვლილი დემოკრატიისათვის [NED] მიერ დაფინანსებული საგრანტო პროექტის “დემოკრატიული იდეების და ღირებულებების მხარდაჭერა აჭარაში“ (საგრანტო ხელშეკრულების #NED Grant No 2017 - 858) ფარგლებში ყოველ კვირეული რუბრიკის „ჩემი უფლება“ მომზადებას.
3. მაუწყებელსა და ა(ა)იპ “თავისუფალ ჟურნალისტთა სახლს“ შორის მოქმედებს ხელშეკრულება, რაც ითვალისწინებს ევროკავშირის მიერ დაფინანსებული საგრანტო პროექტის - ქალთა წინააღმდეგ ძალადობის მონიტორინგს, რომელსაც ახორციელებს „საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი“ პროექტის ფარგლებში მზადდება საზოგადოებისათვის გასაგები და ვიზუალურად საინტერესო ფორმით ქალთა ძალადობის წინააღმდეგ სოციალური სარეკლამო ვიდეო და აუდიო ტიხარი და ვრცელდება აჭარის ტელევიზიით (გადაცემა “#ჰეშთეგი”) და რადიოთი (დამოუკიდებელი მასალა).
4. მაუწყებელსა და საარჩევნო სისტემათა საერთაშორისო ფონდის წარმომადგენლობა "აი ფი ეს/საქართველო-სთან"შესრულდა ხელშეკრულება.პროექტი ითვალისწინებდა 2017 წლის 10 სექტემბრიდან 2017 წლის 20 ოქტომბრამდე პერიოდში რადიოს პირდაპირ ეთერში გენდერული თანასწორობისა და პოლიტიკაში ქალთა მონაწილეობის შესახებ ყოველკვირეული გადაცემების „საუბრები გენდერზე“ მომზადებას.

## 6. ხარისხის კონტროლი - მონიტორინგის ანგარიშები

დაინტერესებული პირებისათვის კვლავაც ხელმისაწვდომია საინფორმაციო ვიდეორგოლი, სადაც თვითრეგულირების ფარგლებში საჩივრის შემოტანის შესაძლებლობაზეა მითითება.[6]

ჩვენი მოვალეობაა ფაქტების ზუსტი და სამართლიანი გაშუქება, ფაქტისა და აზრის მკაფიო გამიჯვნა და აზრის ავტორის იდენტიფიცირება.

დაინტერესებულ პირებს ხარვეზის დაფიქსირებიდან 10 დღისვადაში უფლება აქვთ მოგვმართოთ განცხადებით და მცდარი ფაქტის თანაზომადი საშუალებებითა და ფორმით შესწორება ან უარყოფა მოითხოვონ.

მაყურებელი, რომელიც შეამჩნევს, რომ ჩვენსაქმიანობაშიხარვეზებია, შეუძლია მოგვმართოს წერილობით ან/და ელექტრონული ფოსტის tvitregulireba@ajaratv.geმეშვეობით. ეს ფორმატი ხაზს უსვამს მაუწყებლის სრულ პასუხისმგებლობას და მზაობას განიხილოს დამფინანსებელთა მოსაზრებები.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში თვითრეგულირების ფარგლებში ერთი საჩივარი შემოვიდა. საკითხი შეეხებოდა ანალიტიკურ გადაცემაში „მთავარი აჭარაში“ გასულ სიუჟეტში სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნის გაშუქების ნაწილში ინფორმაციის დაზუსტების თაობაზე. საკითხი განხილული იყო თვითრეგულირების პირველი და მეორე ინსტანციის მიერ. საბოლოო გადაწყვეტილებით[7] მაუწყებელმა ჯეროვანი სიზუსტის პრინციპის დაცვის თაობაზე განმარტება გააკეთა.

**მედიაცია** [8] - საანგარიშო პერიოდში საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიის საინფორმაციო გამოშვება "მთავარში" 21:00 საათზე, რეპორტაჟში, რომელიც თბილისში, ხორავას ქუჩაზე ორი არასრულწლოვნის მკვლელობის საქმეზე ერთ-ერთი ბრალდებული არასრულწლოვნის სამართალდამცველებისთვის ჩაბარების ასახავდა, გავიდა მოზარდის რამდენიმე კადრი, რომლითაც შესაძლებელი იყო არასრულწლოვნის ამოცნობა.

აჭარის საზოგადოებრივ მაუწყებელს ამ თემაზე მომზადებულ ყველა მასალაში დაცული აქვს კონფიდენციალობა და მედიის სტანდრტების შესაბამისად აშუქებდა საკითხს.

მაუწყებელმა მყისიერად გაავრცელა ბოდიშის წერილიდა განმარტა, რომ მაიდენტიფიცირებელი კადრი რეპორტაჟში მიზანმიმართულად არ გასულა, ხოლო შეცდომა დაუდევრობამ გამოიწვია. რედაქციამ ბოდიში მოიხადა დაშვებული შეცდომის გამო. ინტერნეტსივრციდან ამოღებულია გადაცემის ფბ ლაივი. წაშლილია მაუწყებლის ვებ-გვერდზე განთავსებული ვიდეო.

ხაზი გაესვა იმ გარემოებას, რომ აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებელი განსაკუთრებული სიფრთხილით ეკიდება და მომავალში განსაკუთრებით გაუფრთხილდება ჟურნალისტური სტანდარტებისა და კანონის მოთხოვნების შესრულებას.

---

[6] თვითრეგულირების შესახებ ვიდეორგოლი https://www.facebook.com/AjaraTV/videos/1284456444963912/

[7] საბოლოო გადაწყვეტილება თვითრეგულირების ფარგლებში http://ajaratv.ge/files/photos/Sainformacio/2016/11.pdf

[8] http://ajaratv.ge/mobile/index.php?m=news&id=23614&lang=ge

განცხადების გავრცელების შემდეგ, ქარტიაში საქმის წარმოება შეწყდა მედიაციით[9]

ხარისხის ცვლილებისათვის, კვარტალური აქტივობების ნაწილი იყო მიმდინარე მაუწყებლობის მიმართულების აწყობა, რასაც მოჰყვა ხარვეზების შემცირება იმ ხარისხით, რაც შეიძლებოდა სათანადო ზომების მიღებისას მომხდარიყო. როგორც პრაქტიკამ აჩვენა ამ საკითხების მოგვარება საჭიროებს კონკრეტულ, გაწერილ გეგმას, ხოლო შემდგომ, მის შესასრულებლად - მეტ ძალისხმევას, სიმტკიცეს და ყველა დონეზე ხელმძღვანელი პირების კონსოლიდირებას. რაც მიღწეული იქნება ახალი სტრუქტურის პირობებში. როცა გაიწერება საშტატო ერთეულის ფუნქცია და ფუნქციური ქვედებარეობის საკითხი.

ხარისხისა და კონტროლის ცვლილების მიზნით, სამსახურის ამოცანა იყო წლიური ანგარიშის შედგენა. მონიტორების შეფასებით, წლის მანძილზე ახალი ამბების მუშაობა განსაკუთრებული და საპასუხისმგებლო იყო, გამოწვევად კი რჩება შემოქმედებითი პროცესების აწყობა და სამუშაოების გადანაწილება.

საანგარიშო პერიოდში შეიცვალა სამსახურის ხელმძღვანელი პირიც. 2018 წლიდან კი იგეგმება მაუწყებლის ხარისხისა და მონიტორინგს სამსახურის საქმიანობის გაფართოება.

## 7. იურიდიული მხარდაჭერა

იურიდიული მხარდაჭერის სამსახურის მონაწილეობა პროცესებში განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში იურიდიული სამსახურის ამოცანები იყო ახალი წლის ეთერისათვის საჭირო ხელშეკრულებების სამართლებრივი ანალიზი და მომზადება. ასევე საარჩევნო საკითხების თაობაზე კონსულტაციების გაცემა.

## 8. კვარტლის ტენდერები

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში განხორციელდა შესყიდვა. მათ შორის:

2017 წლის ბიუჯეტის ფარგლებში სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მიერ მეოთხე კვარტალში გამოცხადდა 22 ტენდერი, მათ შორის 2 არ შედგა, 4 დასრულდა უარყოფითი შედეგით, ხოლო 16 ელექტრონული ტენდერი შედგა და გამარჯვებულ კომპანიებთან გაფორმდა საქონლისა და მომსახურების მიწოდების შესახებ შესაბამისი ხელშეკრულებები.

განხორციელდა 101 გამარტივებული შესყიდვა და გაფორმდა შესაბამისი ხელშეკრულებები, მათ შორის:

14 საკუთარი (არასაბიუჯეტო) შემოსავლებით;

82 სახელმწიფო ბიუჯეტით;

[9] http://qartia.ge/ka/gadatsyvetilebebis-dzebna/article/41019-nika-gurinsa-da-atcaris-televizias-shoris-mediacia-shedga

კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში გაფორმდა 5 ხელშეკრულება.

## 9. ადამიანური რესურსების მართვა: სწავლება და ახალი უნარ-ჩვევების შეძენა

